ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2691529

ნომერი: AR1416819

თარიღი : 24.06.2016

გაცემის თარიღი : 11.07.2016

გაცნობის თარიღი : 11.07.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჩიტაიას და ჩუბინაშვილის ქუჩების დასაწყისში;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ბესიკ ბარსონიძე პ/ნ 01026001524
- ქ.თბილისი ფანასკერტელის ქ.13ბ

ორგანიზაცია:
- სს თიბისი ბანკი კოდი: 204854595

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ბანკომატის განთავსება
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისი, ჩიტაიას და ჩუბინაშვილის ქუჩების დასაწყისში, შ.პ.ს. 'ამო-7"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდგარ შენობის ფასადზე ბანკომატის განთავსების საკითხი.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას. ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ ''საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (არსებული მდგომარეობის ფოტო, საპროექტო ფოტომონტაჟი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ს/კ N 01.16.05.007.004.01.502 N 882016308071 18/05/2016 წ; თანხმობა 26/04/2016წ; სს "თიბისი ბანკი"-ს მინდობილობა N466/107-12 17/12/2015წ.) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისი, ჩიტაიას და ჩუბინაშვილის ქუჩების დასაწყისში, შ.პ.ს. 'ამო-7"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდგარ შენობის ფასადზე ბანკომატის განთავსების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, რომ თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა–ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამოშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge